

განმარტებითი ბარათი
„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

პროექტით კანონის მოქმედების სფერო ფართოვდება და არეგულირებს არამარტო სამეწარმეო საქმიანობას (მართლზომიერი, არაერთჯერადი, ორგანიზებული, დამოუკიდებელი, მოგების მიღების მიზანი), ასევე ნებისმიერ ორგანიზებულ და ზოგიერთ არაორგანიზებულ საქმიანობას. აღნიშნული გათვალისწინებული იქნა იმ გარემოებებისგან გამომდინარე, რომ შესაძლებელია კონკრეტული საქმიანობა, რომელიც ამ კანონის პრინციპებიდან გამომდინარე საჭიროებს რეგულირებას, არ წარმოადგენდეს სამეწარმეო საქმიანობას. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ არა ყოველი საქმიანობა ან ქმედება რეგულირდება ლიცენზიითა და ნებართვით არამედ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც მიმართული უნდა იყოს თავისი ან/და სხვა პირთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და უშუალოდ პირდაპირ არ უნდა ვრცელდებოდეს მის განმახორციელებელ პირზე.

კანონპროექტით თავისი შინაარსისგან გამომდინარე განისაზღვრა ლიცენზიის სახეობები: კერძოდ, სარგებლობის ლიცენზია, საქმიანობის ლიცენზია, გენერალური ლიცენზია და სპეციალური ლიცენზია.

კანონის პროექტით გათვალისწინებულია, რომ განცხადებას უნდა დაერთოს მხოლოდ სალიცენზიო ან სანებართვო მოსაკრებელის დამადასტურებელი საბუთი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის). აღნიშნულიდან გამომდინარე დაუშვებელია ლიცენზიის და ნებართვის მაძიებლისათვის კანონით გათვალისწინებული განცხადებას თანდართული საბუთების გარდა დამატებით სხვა საბუთების წარმოდგენის მოთხოვნა.

კანონპროექტით დადგინდა ერთი სარკმლის პრინციპი, რომლის თანახმად ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო თავად უზრუნველყოფს დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობების სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებას. დამატებითი სალიცენზიო და სანებართვო პირობების დადასტურება დაკავშირებული უნდა იყოს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის ადმინისტრაციულ წარმოებასთან. ამ პირობების დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების მოპოვება უშუალოდ უნდა ემსახურობოდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების მიზანს.

კანონპროექტის თანახმად, თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანო ლიცენზიისა და ნებართვის გამცემს კანონით დადგენილ ვადაში არ წარუდგენს ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელ შესაბამის საბუთებს ან დასაბუთებულად არ განაცხადებს უარს მის დადასტურებაზე, სალიცენზიო და სანებართვო დამატებითი პირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება და ლიცენზიის ან ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია განახორციელოს ლიცენზირებადი და სანებართვო საქმიანობა. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ასევე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოზე. კერძოდ თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანო კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივი გარემოებებს არ დადასტურებს ან უარს არ იტყვის დადასტურებაზე, სალიცენზიო ან სანებართვო პირობების დაკმაყოფილებულად ჩაითვლება.

პროექტის თანახმად, თუ ლიცენზიის მაძიებელი ფლობს კონკრეტულ საქმიანობაზე ლიცენზიას ლიცენზირებადი საქმიანობის ერთ სფეროში და გამოთქვამს სურვილს იმავე საქმიანობის სფეროში მოიპოვოს სხვა ლიცენზია, ლიცენზიის გამცემი ორგანო არ

იკლავს იმ სალიცენზიო პირობების ზამთარსტრუქტურულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დადგენილ იქნა წინა ლიცენზიის გაცემისას.

დღეს მოქმედი რედაქციით, თუ ლიცენზირებად ან სანებართვო საქმიანობას ახორციელებს ორგანიზაციული ერთეული მქონე სუბიექტი და ამ ორგანიზაციის ფილიალი გამოთქვამდა სურვილს ლიცენზირებად ან სანებართვო საქმიანობის განხორციელებაზე, ვალდებული იყო მოეყოლებინა ახალი ლიცენზია ან ნებართვა. წარმოდგენილი პროექტის თანახმად თუ საქმიანობის ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს იურიდიული პირი, აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია ამ იურიდიული პირის ფილიალსაც.

ლიცენზიისა და ნებართვის შინაარსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემისათვის დადგინდა დიფერენცირებული მოდგომა. კერძოდ, კანონით ზუსტად განსაზღვრული ლიცენზიები გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. სარგებლობის ლიცენზია გაიცემა აუქციონის ფორმით, რომლის მიზანია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ყველაზე მაღალი ფასის გადახდით ამ კანონით წინასწარ განსაზღვრული სახელმწიფო რესურსებით სარგებლობის უფლების მანიჭება. ლიცენზიები, რომლებიც არ გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით და ნებართვები გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით 20 დღის ვადაში.

პროექტის თანახმად, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ლიცენზიის ან ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული ლიცენზიის ან ნებართვის სახეობებისათვის მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ვადის არა უმეტეს 3 თვემდე გაგრძელების თაობაზე. ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღოს განცხადების შეტანიდან 15 დღის ვადაში და ამის შესახებ არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელს. ამასთან, თუ ლიცენზიის/ნებართვის მაძიებელს განცხადების შეტანიდან 15 დღის ვადაში არ ეცნობება ლიცენზიის/ნებართვის გაცემის ვადის გაგრძელების თაობაზე დაუშვებელია ვადის გაგრძელება. თუ კონკრეტული ლიცენზიის ან ნებართვის სახეობა, რომლის გაცემის ვადის გაგრძელება შესაძლებელია, ხასიათდება ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის მომეტებული ხარისხით, ეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების ფართო წრეს და ამ საქმიანობით გათვალისწინებულ გარემოებათა დასადგენად არ არის საქმარისი 3 თვე, ლიცენზიის/ნებართვის გამცემი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას ლიცენზიის/ნებართვის გაცემის 3 თვიანი ვადის კიდევ 3 თვით გაგრძელების შესახებ.

ლიცენზიის ან ნებართვის მაძიებელი უფლებამოსილია განახორციელოს საქმიანობა ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე სალიცენზიო ან სანებართვო მოწმობის მიღებამდე, ხოლო კანონით დადგენილ ვადაში ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში – მხოლოდ სალიცენზიო მოწმობის მიღების შემდეგ.

კანონპროექტით განისაზღვრა სალიცენზიო პირობების შესრულებაზე კონტროლი შერჩევითი შემოწმებისა და ყოველწლიური ანგარიშგების გზით. ლიცენზიის გამცემის მიერ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ სალიცენზიო პირობების შესრულებაზე. ამასთან ლიცენზიის გამცემი არ არის უფლებამოსილი კონტროლის განხორციელებისა, თუ აღნიშნული უფლებამოსილება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს კამპეტენციას

შეადგენს. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი კონტროლის განხორციელება შესაძლებელია წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

პროექტით განისაზღვრა ლიცენზიის ან ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა სალიცენზიო და სანებართვო პირობების დარღვევისათვის, კერძოდ, საქციის ნორმა ლიცენზიისა და ნებართვის მოქმედების შეჩერება შეიცვალა ჯარიმით. ლიცენზიის და მფლობელის მიერ ამ პირობათა არ აღდგენა ასევე ჯარიმის იძენობას გაზრდას ლიცენზიისა და ნებართვის გაუქმებადღე.

პროექტის თანახმად თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაუქმებამ უფრო მეტი ზიანი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ლიცენზიის ნებართვის მოქმედების ეკვრებელბამ, ან/და არსობრივად შეუძლებელია მისი მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის ნებართვის გამცემი ორგანო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას თვითონ ან შესამე პარტა შეშვეობით ლიცენზიის მფლობელის სახელითა და ხარჯით სალიცენზიო პირობების უზრუნველყოფის თაობაზე. ასევე ვარეპობათა გათვალისწინებით შეიძლება ლიცენზიის ან ნებართვის გამცემის შუამდომლობის საფუძველზე სასამართლო ღებულობს გადაწყვეტილებას ლიცენზირებადი ან სანებართვო საქმიანობის განსახორციელებლად და სალიცენზიო ან სანებართვო პირობების შესასრულებლად სპეციალური მმართველის დანიშვნის შესახებ.

პროექტით ასევე დადგინდა იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა, რომელიც კანონით განსაზღვრულ ვადებში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ან არ უზრუნველყოფს კანონით დადგენილ ვალდებულებების განახორციელებას.

აღნიშნული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის ავტორია რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.